585/1976/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (422)

1976 წლის მარტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

№ 3 (422) მარტი 1976 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი


### განყოფილება პირველი

48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. ენუქიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. შუშანაშვილის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. მაისურაძის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ ცალკეულ საარჩევნო ოლქებში, გასული დეპუტატების ნაცვლად“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის თაობაზე.

52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ცალკეულ საარჩევნო კამპანიის ვადის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 8 მაისის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

53. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1975 წლის შედეგების შესახებ.

### განყოფილება მეორე

54. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ქ. ვ. არეშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის [illegible] საბჭოს [illegible] დანიშვნის შესახებ.


[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

55. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვის სახელმწიფო საბავშვო მუსიკალური თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. საცის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

57. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ლ. ვასაძის საქართველოს სრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობები.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**48 ამხ. ბ. ნ. ენუქიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გურამ ნიკოლოზის ძე **ენუქიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1976 წლის 9 მარტი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**49 ამხ. ა. ა. შუშანაშვილის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ამირანის ძე **შუშანაშვილი** საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1976 წლის 22 მარტი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**50 ამხ. ვ. ი. მაისურაძის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ ივანეს ძე **მაისურაძე** საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა საქმიანობაზე გადასვლასთან დაკავშირებით

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

**თბილისი. 1976 წლის 22 მარტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**51 „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ ცალკეულ საარჩევნო ოლქებში, გასული დეპუტატების ნაცვლად“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ ცალკეულ საარჩევნო ოლქებში, გასული დეპუტატების ნაცვლად“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. ბრძანებულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაწესდეს, რომ თანახმად „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების“ 120-ე მუხლისა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებს, გასული დეპუტატების ნაცვლად, ნიშნავს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი“.

2. ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ცალკეულ საარჩევნო ოლქებში გასული დეპუტატების ნაცვლად მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატების არჩევნების ჩატარების დროს საარჩევნო კამპანია უნდა დაიწყოს არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, ნაცვლად 45 დღისა, რაც გათვალისწინებულია „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებით“.

3. ბრძანებულების მე-5 მუხლში სიტყვების „12 საათზე“ შეიცვალოს სიტყვებით „10 საათზე“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

**თბილისი, 1976 წლის 26 მარტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 52 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 8 მაისის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 8 მაისის ბრძანებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ბრძანებულების პირველ მუხლში სიტყვები: „ნაცვლად ორი თვისა“ შეიცვალოს სიტყვებით: „ნაცვლად 45 დღისა“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1976 წლის 26 მარტი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 53 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1975 წლის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1975 წლის შედეგები, აღნიშნავს, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებებით და კანონებით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ, არსებითად გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა.

გასულ წელს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით.

საბჭოების საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ღირსეულად შესახვედრად მზადების პერიოდში, რამაც დიდად შეუწყო ხელი მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე სისტემატურად იხილებოდა სამეურნეო-ეკონომიურ და სოციალურ-კულტურულ მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დემოკრატიული პრინციპების, დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის, სესიების მოწვევის კონსტიტუციური ვადების დაცვას, კანონიერების განმტკიცებას, მუდმივი კომისიების მუშაობას, აღმასკომების, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარებას, ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, სესიებისა და აღმასკომების სხდომების მომზადება-ჩატარებას და მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

1975 წელს ადგილობრივი საბჭოების მიერ მოწვეულია 6.915 სესია, რომლებზეც განხილულია 14.036 საკითხი.

სესიებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო დეპუტატთა მთელი შემადგენლობის 60,9 პროცენტმა.

საბჭოების პირველ და მეორე სესიებზე დამტკიცებულ იქნა ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებები, საბჭოები, დეპუტატები მეტ ყურადღებას აქცევენ განაწესების შესრულებას. 23.985 განაწესიდან გასულ წელს შესრულდა 12.156 (50,7 პროცენტი).

კარგადაა ორგანიზებული განაწესების შესრულების საქმე გორის, რუსთავის და ფოთის საქალაქო, მახარაძის, ცხაკაიას, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ბორჯომის, ადიგენის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, მცხეთის და სხვა რაიონულ საბჭოებში.

გაიზარდა დეპუტატთა აქტივობა რაიონისა თუ ქალაქის წინაშე მდგარი სამეურნეო-კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში, უფრო განმტკიცდა კავშირი ამომრჩევლებთან.

ასე, მაგალითად, ადგილობრივი საბჭოების 49.178 დეპუტატიდან ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა 48.191-მა (98,0 პროცენტი); მათ შორის ქუთაისის, ჭიათურის საქალაქო, ლანჩხუთის, კასპის, მახარაძის, ზესტაფონის, ყვარლის, ლაგოდეხის, ვანის, ცაგერის, ბოლნისის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონების ადგილობრივი საბჭოების თითქმის ყველა დეპუტატმა ანგარიში ჩააბარა ამომრჩევლებს.

973 საკითხი დააყენეს დეპუტატებმა სესიებზე შეკითხვის წესით.

საბჭოების აღმასკომები, მათი განყოფილებები და სამმართველოები მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ სესიებისა და მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმეს. 1975 წელს სესიებს ანგარიში ჩააბარა ყველა საბჭოს აღმასკომმა, ხოლო მოსახლეობის წინაშე ანგარიშით გამოვიდა 1.068 აღმასკომი (96,7 პროცენტი).

რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების 950 განყოფილება და სამმართველოდან მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა 849 (89,4 პროცენტი). ამ მხრივ აღსანიშნავია ბორჯომის, ხაშურის, ზესტაფონის, სამტრედიის, ხობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგეჭკორის, ცხაკაიას, ახალქალაქის, დმანისის, მარნეულის, წითელწყაროს, თელავის რაიონული, ქუთაისის და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომები.

აღმასკომების უმრავლესობა საჭირო დახმარებას უწევს მუდმივ კომისიებს. 1975 წელს ადგილობრივი საბჭოს 6.754 მუდმივმა კომისიამ მონაწილეობა მიიღო სესიებისათვის 7.128 და აღმასკომებისათვის 18.566 საკითხის მომზადებაში.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაეხორციელდა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების სათანადო ხელმძღვანელი კადრებით დასაკომპლექტებლად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ყველა რაიონულ და საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შექმნილია საბჭოთა მშენებლობის ორწლიანი სკოლა, რომელშიც გაერთიანებული არიან სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მდივნები, მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები და საბჭოთა აქტივი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი საბჭოების გარკვეულმა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებებიდან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი დადგენილებებიდან და საქართველოს სსრ კანონებიდან საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოს შესახებ.

ყველა დეპუტატი, მუდმივი კომისია და საბჭოს აღმასკომი სათანადოდ არ არის მობილიზებული საბჭოების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად. ზოგჯერ დეპუტატის, საბჭოს და მისი აღმასკომის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა კავშირში არ არის რაიონის, ქალაქის წინაშე მდგარი სამეურნეო-ეკონომიური ამოცანების განხორციელებასთან.

სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე მიუხედავად მრავალი საკითხის განხილვისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს საკოლმეურნეო წესდების, მიწათსარგებლობის წესების, დემოკრატიული პრინციპების, საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტებს. სერიოზული ნაკლოვანებებია მოსახლეობის სავაჭრო, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. სათანადო ყურადღება არ ექცევა საბჭოების გადაწყვეტილებებისა და ზემდგომი ორგანოების დადგენილებების შესრულების საქმეს.

არის შემთხვევები, როდესაც საბჭოს აღმასკომი არ იცავს სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილ ვადებს. გასულ წელს სესიების ჩატარების ვადა დაარღვია 5 აღმასკომმა (მცხეთის საქალაქო, თეთრი წყაროს, მცხეთის სასოფლო საბჭოები და სხვ.).

მოსახლეობისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 36 აღმასკომს (ახალქალაქის, ბოგდანოვკის, თბილისის პირველი მაისის და ოქტომბრის რაიონების, ბოლნისის, კასპის და წითელწყაროს საქალაქო საბჭოების აღმასკომები და სხვ.).

ზოგიერთი აღმასკომი საჭირო ყურადღებით არ ეკიდება დეპუტატებთან მუშაობის საკითხებს. არ არის მოწყობილი დეპუტატის ოთახი ან კუთხე, დეპუტატებს არ ეძლევათ საცნობარო მასალა საბჭოსა და აღმასკომის მუშაობის თაობაზე და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველგან კარგად არ არის ორგანიზებული დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმე. მაგალითად, ონის რაიონში ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 73 დეპუტატს, ჩოხატაურის რაიონში — 57-ს, გარდაბნის რაიონში — 73-ს, ახალციხის რაიონში — 30 დეპუტატს და ა. შ.

ნაკლებად ზრუნავენ ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად ასპინძის რაიონში, სადაც 73 განაწესიდან შესრულებულია 13, თეთრი წყაროს რაიონში 153 განაწესიდან შესრულებულია 40 და ა. შ.

მოსახლეობისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია აღმასკომების 101 განყოფილება-სამმართველოს (ადიგენის, ბოგდანოვკის, გორის, თეთრი წყაროს, ონის, ორჯონიკიძის, თიანეთის რაიონები).

რიგ რაიონში სუსტად მუშაობენ საბჭოების მუდმივი კომისიები.

გასულ წელს ასპინძის და ონის რაიონული საბჭოების ტრანსპორტის, საგზაო მშენებლობის და კავშირგაბმულობის, მაიაკოვსკის რაიონული საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სიღნაღის რაიონული საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის, ახალქალაქის, გარდაბნის, დმანისის, მარნეულის, საჩხერის და წალკის რაიონული საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიებს არ მოუმზადებიათ საკითხები სესიებისა და აღმასკომებისათვის და არც სესიებზე გამოსულან მოხსენებებით და თანამოხსენებებით.

ნაკლოვანებებია საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელი კადრების შერჩევის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სესიების ჩატარებიდან დიდი დრო არ გასულა 1975 წლის მეორე ნახევარში შეიცვალა 75 აღმასკომის თავმჯდომარე, 65 თავმჯდომარის მოადგილე და 50 მდივანი. არის შემთხვევები, როცა აღმასკომებში არჩევით თანამდებობებზე მუშაობენ არადეპუტატები. ასე მაგალითად, დღეისათვის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს 9 არადეპუტატი, ხოლო მდივნისას — 8 (ქ. ტყიბული, ახალციხის, გურჯაანის, მცხეთის რაიონები და ა. შ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) თავიანთ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებით, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონებითა და კანონით სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ. სისტემატურად შეისწავლონ და განიხილონ სახალხო მეურნეობის განვითარების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მნიშვნელოვანი საკითხები. აღმასრულებელი კომიტეტების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების საქმიანობა წარმართონ ისე, რომ იგი ყოველმხრივ უწყობდეს ხელს მეათე ხუთწლედის გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მტკიცედ დაიცვან სესიების მოწვევის კონსტიტუციური ვადები, სესიებისა და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები, მათ მომზადება-განხილვაში და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. ამასთან, სესიებზე რეგულარულად გამოვიდნენ ინფორმაციებით აღმასკომების მუშაობისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ. მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები სისტემატურად აწვდიდნენ ინფორმაციას თავიანთ ამომრჩევლებს სესიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ და იღებდნენ ზომებს მათ შესასრულებლად;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეს, შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვას, მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეთა შრომისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას, წარსულის მავნე გადმონაშთების — ქელეხების, რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი;

დ) ხელი შეუწყონ დეპუტატებს თავიანთ მოვალეობათა შესრულებაში, ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების უკეთ ორგანიზაციის მიზნით დროულად მიაწოდონ დეპუტატებს საცნობარო მასალა საბჭოების და აღმასკომების მუშაობის შესახებ და დაეხმარონ ამომრჩეველთა კრებების მოწყობაში. მოაწყონ დეპუტატთა ოთახები (კუთხეები), მიიღონ ზომები განაწესების. საანგარიშო კრებებზე და ამომრჩევლებთან შეხვედრების დროს დეპუტატებისათვის დაყენებული საკითხების დროულად განხილვისა და შესრულებისათვის;

ე) მეტი დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს, შეუქმნან მუშაობის სათანადო პირობები, მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები სრულად იყენებდნენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს და აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოების საქმიანობაში;

ვ) მიიღონ ზომები საბჭოების მუშაობის საჯაროობის უზრუნველსაყოფად; აღმასრულებელმა კომიტეტებმა, განყოფილებებმა და სამმართველოებმა რეგულარულად ჩააბარონ ანგარიშები მოსახლეობას თავიანთი მუშაობის შესახებ, ფართოდ გააშუქონ ადგილობრივ პრესაში და რადიოგადაცემებში საბჭოების მუშაობის ცალკეული საკითხები;

ზ) მიმდინარე წლის აპრილში ჩაატარონ საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების, მდივნებისა და მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების თათბირ-სემინარი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გასული წლის შედეგებზე და მიიღონ ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს ადგილობრივი საშუალებების გამოყენებით მიიღონ ზომები სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ადმინისტრაციული შენობებით უზრუნველყოფისათვის.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობი საკითხების განყოფილებამ მეტი დახმარება და კონტროლი გაუწიოს ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობრივ საბჭოებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1975 წლის შედეგები განხილულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ალმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების ზონალურ თათბირებზე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1976 წლის 26 მარტი.

## განკოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 54 ამხ. ქ. ი. არეშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ქრისტეფორე იოსების ძე **არეშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1976 წლის 26 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 55 მოსკოვის სახელმწიფო საბავშვო მუსიკალური თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. თბილისში 1976 წლის მარტში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით, ახალგაზრდა თაობის ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში დიდი წვლილისათვის, **მოსკოვის სახელმწიფო საბავშვო მუსიკალური თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

**თბილისი, 1976 წლის 26 მარტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 56 ამხ. ნ. ი. საცის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. თბილისში 1976 წლის მარტში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით, ახალგაზრდა თაობის ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში დიდი წვლილისათვის, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მოსკოვის სახელმწიფო საბავშვო მუსკალური თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი ნატალია ილიას ასული **საცი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1976 წლის 26 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 57 ამხ. შ. ლ. ვასაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, გადამდგარი პოლკოვნიკი ამხ. შალვა ლუკას ძე **ვასაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1976 წლის 26 მარტი.

## განკოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1976 წლის 26 მარტის სხდომაზე განიხილა რა საკითხი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ თბილისის ორჯონიკიძის, სამტრედიისა და კასპის რაიონებში აღნიშნა, რომ სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს საყოველთაო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების ნიშნით.

თბილისის ორჯონიკიძის, სამტრედიისა და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები დროულად შეუდგნენ არჩევნებისათვის მზადებას. მათ დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. დებულებით დაწესებულ ვადებში შეიქმნა და გამოქვეყნდა სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების, საუბნო საარჩევნო კომისიების სიები.

თბილისის ორჯონიკიძისა და სამტრედიის რაიონებში ბევრი საარჩევნო უბანი და ამომრჩეველთა კლუბი კარგადაა გაფორმებული, შედგენილია სამუშაო გეგმები, გამოფენილია საარჩევნო ლიტერატურა და სხვ.

აღმასკომებმა დროულად მიიღეს ზომები იმისათვის, რათა მოსამართლეებს ანგარიში ჩაებარებინათ ამომრჩევლებისათვის.

საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, ჯერ კიდევ გასულ წელს, თბილისის ორჯონიკიძის, სამტრედიისა და კასპის რაიონების სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეები 96-ჯერ გამოვიდნენ საანგარიშო მოხსენებებით ამომრჩეველთა წინაშე.

ამასთან სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის მზადების საქმეში ზემოაღნიშნული რაიონული საბჭოების აღმასკომებს გააჩნიათ ნაკლოვანებებიც.

კასპისა და სამტრედიის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დაგვიანებით გააფორმეს საარჩევნო უბნები. სათანადო მუშაობა არ მიმდინარეობს ამომრჩეველთა სიების დასაზუსტებლად. სიებში ბევრგან გამოტოვებულია ამომრჩეველთა მამის სახელი, არაზუსტადაა ჩაწერილი ზოგიერთი ორგანიზაციის სახელწოდება და ა. შ.

სამტრედიის რაიონში მოსამართლეები მეტწილად ანგარიშებით გამოდიან არა თავიანთი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე, არამედ რაიონის ცენტრსა და მასთან ახლომდებარე სასოფლო საბჭოებში.

კასპის რაიონის სახალხო მოსამართლე გასულ და მიმდინარე წლებში თავისი ამომრჩევლების წინაშე ანგარიშით მხოლოდ ერთხელ გამოვიდა.

საანგარიშო პერიოდში თბილისის ორჯონიკიძის, სამტრედიისა და კასპის რაიონული საბჭოების აღმასკომებს არ შეუმოწმებიათ და არ განუხილავთ თავიანთ სხდომებზე სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების, დაყენებული წინადადებების აღრიცხვის და შესრულების მდგომარეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების თბილისის ორჯონიკიძის, სამტრედიისა და კასპის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების მიზნით გადაჭრით გააუმჯობესონ მოსამზადებელი მუშაობა, რისთვისაც:

**საჭირო დახმარება გაუწიონ საუბნო საარჩევნო კომისიებს მუშაობაში. უახლოეს დროში ჩაატარონ კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების სა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქტაჟო თათბირები, განუმარტონ არჩევნების დებულება, მათი უფლება-მოვალეობანი, საარჩევნო დოკუმენტაციის შევსების წესი და სხვა;

უზრუნველყონ საარჩევნო უბნები საარჩევნო დოკუმენტაციის ბლანკებით, საარჩევნო ყუთებით, ბეჭდებით, საკანცელარიო ნივთებით, კაბინების მოსაწყობი საჭირო მასალებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, არჩევნების დებულებით და სხვა საარჩევნო ლიტერატურით;

მიიღონ ზომები საარჩევნო ბიულეტენების დროულად დაბეჭდვისა და დებულებით დადგენილ ვადებში საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ჩაბარებისათვის;

მოსახლეობაში სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას საფუძვლად დაუდონ სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებანი. რეგულარულად მოაწყონ მოხსენებები, ლექციები, საუბრები და სხვა მასობრივი ღონისძიებანი. აგიტატორების, პრესისა და რადიოს საშუალებით ფართოდ გააცნონ ამომრჩევლებს არჩევნების დებულება, რაიონული სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ რეგისტრირებული კანდიდატის საქმიანობა;

დააზუსტონ ამომრჩეველთა სიები და მიაღწიონ იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქემ.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ შეამოწმონ სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა და მიიღონ ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

*

* *

მოსმენილ იქნა აგრეთვე საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1975 წელს შემოსული მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შედეგების შესახებ.

აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, ხელმძღვანელობდნენ რა „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით და ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებებით, გარკვეული მუშაობა გასწიეს მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

ამასთან, ზემდგომ ორგანოებში მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების ნაკადი ჯერ კიდევ დიდია. დიდია მათი რაოდენობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმშიც.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, სამინისტროები და უწყებები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მშრომელთა წერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებსა და განცხადებებს და, რაც მთავარია, არ სწავლობენ საჩივრების გამოწვევ მიზეზებს, არ იღებენ ზომებს მათ აღსაკვეთად.

მშრომელთა წერილების განხილვისა და შესწავლის საქმეში არასაკმარისად მონაწილეობენ დეპუტატები, საბჭოების მუდმივი კომისიები, აქტივი და საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი.

წერილები, განცხადებები და საჩივრები, განსაკუთრებით შრომის, ხელფასის, პენსიის, გადასახადებისა და სხვა საკითხებზე გამოწვეულია იმითაც, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ იცნობს მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, იუსტიციისა და სხვა სამინისტროები, ადმინისტრაციული ორგანოები სისტემატურ, გეგმიურ მუშაობას არ ატარებენ ამ მიმართულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს:

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გადამჭრელი ზომები მიიღონ მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების საქმის გასაუმჯობესებლად. მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-შესწავლის საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები;

რეგულარულად მოისმინონ თავიანთ სხდომებზე აპარატსა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მოქალაქეთა მიღებისა და მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

აამაღლონ თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა განცხადებებისა და საჩივრების დადგენილ ვადაში განხილვისა და მათში აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტისათვის. არ დაუშვან მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების უსაფუძვლო გადაგზავნა დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში. რეაგირების გარეშე არ დატოვონ მშრომელთა კანონიერ მოთხოვნათა არასწორად გადაწყვეტის არც ერთი შემთხვევა;

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ განმეორებითი განცხადებების და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის საქმეს. განახორციელონ ღონისძიებები მშრომელთა საჩივრების წარმომშობი მიზეზების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად.

*

* *

ამავე სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკაში 1975 წელს მრავალშვილიანი დედების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების მდგომარეობა და დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, მშრომელთა დეპუტატების სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

უახლოეს დროში განიხილონ მრავალშვილიანი დედების მთავრობის შესაბამის ჯილდოებზე დროულად წარდგენისა და მათთვის ორდენებისა და მედლების ჩაბარების მდგომარეობა და აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული დარღვევები და ნაკლოვანებები;

სისტემატურად იზრუნონ მრავალშვილიანი დედების საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის, კანონის შესაბამისად მათთვის დაწესებული შეღავათების განხორციელებისათვის. დეპუტატების, ქალთა საბჭოების, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მეშვეობით შეამოწმონ დედათა და ბავშვთა შესახებ არსებული კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა და რეაგირების გარეშე არ დატოვონ კანონის დარღვევის არც ერთი შემთხვევა.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს რეკომენდაცია მიეცა მიიღოს ზომები რესპუბლიკის სოცუზრუნველყოფის საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში მრავალშვილიანი დედების აღრიცხვის საქმის მოსაწესრიგებლად. შეამოწმოს დედებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ფულადი დახმარებების დანიშვნისა და ჩაბარების სისწორე და მიიღოს ზომები ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

*

* *

მოსმენილ იქნა აგრეთვე საკითხი საქართველოს სსრ მიწისა და წყლის კოდექსებთან საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, იუსტიციის სამინისტროებისა და ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის მიუხედავად, ნელი ტემპით მიმდინარეობს ნორმატიული აქტების მომზადება მოქმედი კანონმდებლობის მიწისა და წყლის კოდექსებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა:

მიიღოს ზომები საქართველოს სსრ მიწისა და წყლის კოდექსებთან საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად;

შეისწავლოს სამინისტროებსა და უწყებებში იმ ნორმატიული აქტების მომზადებისა და მიღების მდგომარეობა, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სხვა კანონებიდან.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე განიხილა საკითხი საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის სახელზე შემოსული დეპეშების, განცხადებებისა და საჩივრების შემოწმების შესახებ.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

* *

სხდომაზე მოისმინეს საკითხი მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების **თაობაზე.**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

**სოფლის მეურნეობის** მუდმივი კომისიის სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის გ. ყიფიანის მოხსენება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახების მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა და მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა ო. ვარძელაშვილმა, მ. დავითაშვილმა, ა. გვასალიამ, ზ. ოქრომჭედლიშვილმა, კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ჭონიაშვილმა, თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ო. გულიაშვილმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უკანასკნელ წლებში სერიოზული მუშაობა გასწიეს ვენახებში მეჩხერიანობის შესამცირებლად.

ამასთან აღინიშნა, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ არასაკმარისია.

კვლავ დიდია ვენახებში მეჩხერიანობა, იგი რესპუბლიკაში საშუალოდ 20 პროცენტამდე აღწევს. ხოლო ზოგიერთ მეურნეობაში ეს მაჩვენებელი უფრო დიდია.

მეჩხერიანობის შედეგად საზოგადოებრივ მეურნეობებში მოცდენილია 15 ათასამდე ჰექტარი მიწის სავარგული. დიდი მეჩხერიანობა ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახები გაშენებულია ნაკვეთებზე ნიადაგების წინასწარი შესწავლის გარეშე, არადამაკმაყოფილებლადაა ჩატარებული აგროლონისძიებათა კომპლექსი, ნიადაგი არ არის კარგად დამუშავებული. ასევე სათანადოდ ვერ იყენებენ მინერალურ და ორგანულ სასუქებს. სარგავი მასალა ვერ უზრუნველყოფს მეურნეობათა მოთხოვნილებას და სხვ.

მთელ რიგ მეურნეობებში დიდი მეჩხერიანობის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები დროულად და ხარისხიანად არ ატარებენ ღონისძიებებს მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ, ხოლო მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები და საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები სათანადო კონტროლსა და დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ვენახების მეჩხერიანობის ლიკვიდაციის საქმეში.

კომისიის მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა მ. ალიევმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

**ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის** მუდმივი კომისიის სხდომამ განიხილა საკითხი საქართველოს სსრ კურორტების მდგომარეობისა და მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ.

აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში ჩატარდა გარკვეული მუშაობა კურორტების ქსელის განვითარებისა და მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, რიგ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაიზარდა საწოლების რაოდენობა, მწყობრში ჩადგა ახალი სამკურნალო დაწესებულებები. ერთგვარად გაუმჯობესდა დამსვენებელთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ამასთან რესპუბლიკაში საკურორტო ქსელის განვითარების საქმეში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლად ვითარდება ბავშვთა სანატორიუმების ქსელი. სრულყოფილად არ არის გამოყენებული სამკურნალო მინერალური წყლები, სათანადო ყურადღება არ ექცევა სამკურნალო თვისებების მქონე ფლორის გამოვლენას და შესწავლას.

ნაკლოვანებებია კურორტების თანამედროვე სამედიცინო აპარატურით და მედიკამენტებით უზრუნველყოფის საქმეში. ბევრი კურორტი დაკომპლექტებული არ არის სათანადო სამედიცინო პერსონალით.

კურორტები ცუდად მარაგდება ახალი ბოსტნეულით, ხილით, საქონლისა და ფრინველის ხორცით.

ამავე სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი რესპუბლიკაში მარტივი ტიპის სპორტული ნაგებობების მშენებლობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ. აღინიშნა, რომ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში რესპუბლიკაში ძირითად სპორტულ ბაზებთან ერთად განსაკუთრებული როლი შეასრულეს ღია მარტივი ტიპის სპორტულმა ბაზებმა.

გაფართოვდა მარტივი ტიპის ბაზების ქსელი თბილისში, ბათუმში, ქუთაისში,რუსთავში, ჭიათურაში, მაიაკოვსკში, თერჯოლაში, თელავში. ბაზების მოწყობაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს მოსახლეობაც.

მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ გვხვდება სერიოზული ნაკლოვანებები.

საბინაო მშენებლობის გაფართოების პარალელურად საცხოვრებელ მასივებში არ შენდება მარტივი ტიპის სპორტული ბაზები.

სრული დატვირთვით არაა გამოყენებული არსებული სპორტული ბაზები.

სახლმმართველობები, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორები, სასწავლებლები, საწარმო-დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობე-

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბ. ბიბლიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო ფიზკულტურული საბჭოები სათანადო მზრუნველობას არ იჩენენ მარტივი ტიპის სპორტული ბაზების მოწყობისადმი.

საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები დ. კიკნაძე, ა. სკაჩკოვი, საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს უფროსი ბ. გუჯეჯიანი, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს საკურორტო სამმართველოს უფროსი პ. ჩიქვილაძე, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველი მოადგილე ა. პაიჭაძე, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ე. კომახიძე, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე მ. პაპისოვი, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე ვ. ანიკაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე ი. ბოჭორიძე და სხვები.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ს. რიგვავამ.

*

* *

მუდმივმა კომისიებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს სათანადო დადგენილებები.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 26 მარტის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დაჯილდოვდა 238 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 10 |
| ქ. ქუთაისიდან | | 2 |
| ქ. ჭიათურიდან | | 12 |
| ახალქალაქის | რაიონიდან | 30 |
| ასპინძის | „ | 3 |
| ბოგდანოვკის | „ | 9 |
| ბოლნისის | „ | 31 |
| გეგეჭკორის | „ | 2 |
| დმანისის | „ | 48 |
| დუშეთის | „ | 8 |
| ზუგდიდის | „ | 2 |
| ზესტაფონის | „ | 3 |
| ვანის | „ | 3 |
| თელავის | „ | 3 |
| ლაგოდეხის | „ | 13 |
| მახარაძის | „ | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| მარნეულის | რაიონიდან . . . | 13 |
| ჩოხატაურის | „ . . . . . | 8 |
| ჩხოროწყუს | „ . . . . . | 5 |
| წალენჯიხის | „ . . . . . | 10 |
| წითელწყაროს | „ . . . . . | 2 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | „ . . . . . | 8 |

*

* *

სსრ კავშირის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 26 მარტის ბრძანებულებით **„შრომის ვეტერანის“** მედლით დაჯილდოვდა 486 კაცი, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის პირველი მაისის | რაიონიდან . . | 53 |
| ქ. თბილისის კალინინის | „ . . . | 52 |
| ქ. თბილისის 26 კომისრის | „ . . . | 251 |
| ახალქალაქის | „ . . . | 20 |
| მახარაძის | „ . . . | 37 |
| სამტრედიის | „ . . . | 16 |
| საჩხერის | „ . . . | 32 |
| ჩოხატაურის | „ . . . | 12 |
| ჩხოროწყუს | „ . . . | 13 |

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 26 მარტის ბრძანებულებებით:

**თიანეთის რაიონის** დაბა სიონმშენს ეწოდა დაბა სიონი, ხოლო სიონმშენის სადაბო საბჭოს — სიონის სადაბო საბჭო.

**გურჯაანის რაიონის** ჯიმითის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი დარჩეთი და მიეკუთვნა არაშენდის სასოფლო საბჭოს; ჯიმითის სასოფლო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდათ რწმუნებანი არაშენდის სასოფლო საბჭოში.

**გაუქმდა:**

**დუშეთის საქალაქო** საბჭოს სოფლები: კობიანთკარი, ახალშალიკიაანთკარი, მილახვრიანთკარი, თვარელიანთკარი, კარიაულთკარი და ჭონქაძის სასოფლო საბჭოს სოფელი დიდებაანი ქალაქ დუშეთთან ტერიტორიულად შეზრდის გამო;

**ბაზალეთის** სასოფლო საბჭოს სოფელი ჭინჭარაანთკარი სოფელ ჩანადირთკართან ტერიტორიულად შეზრდის გამო;

**მჭადიჯვრის** სასოფლო საბჭოს სოფელი ახალშენი სოფელ მჭადიჯვართან ტერიტორიულად შეზრდის გამო;

**ქვეშეთის** სასოფლო საბჭოს სოფელი ქიმბარიანი სოფელ ქვეშეთთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

**მაღაროსკარის** სასოფლო საბჭოს სოფელ კუდო-ხილიანას ეწოდა სოფელი ხილიანა.